



საბავშვო ქრისტიანული ჟურნალი

1  
2021



# ლოცვა ქილის წინ

ე.ს.

მინდა რომ კარგი სიზმრები ვნახო  
რომ მიღიმოდეს ნამგალა მთვარე.  
გთხოვ ჩემო მხსნელო,  
გულწრფელად ამას:  
შენ შეისმინე ლოცვა ელვარე.

მინდა, დედიკო, რომ არ დაბერდეს,  
მინდა, რომ მამა არ ავადობდეს.  
მინდა, რომ ხვალე, მოულოდნელად  
ჩემს სახურავზე წერო ჩამოჯდეს.

რომ არასოდეს დაგშორდე ღმერთო.  
რომ ცაზე ცისკრის ვარსკვლავი ენთოს.  
რომ დარაბების მიღმა ვერხვები  
შრიალებდეს და გულიც ამენთოს.

მინდა ჩრდილები არ მაშფოთებდეს.  
ეს შიშიც გაქრეს უკვალოდ, სადღაც,  
ცაზე ვარსკვლავთა გუნდი მღეროდეს,  
ღამის სიმღერაც ყველაგან ისმოდეს.

ისმინე ჩემი ლოცვა და თხოვნა,  
გამაძლიერე ჩემო უფალო,  
და დღევანდელი ჩემი ქცევიდან,  
რაც შენ არ მოგწონს, გთხოვ მომიტეეო.

ნახატი ი. პ.



ტ. შ.

# ქილისპირული

ტკბილად ჩამეძინა ჩემს პატარა  
საწოლში.

დედა ხელს მკიდებს, და ალერსიანად  
ჩამჩურჩულებს ყურში:

„ნუ გეშინია, ჩემო პატარა  
ნუ შეგიკრთება პატარა გული:  
თავად უფალი გიცავს, რადგანაც სულ  
ფხიზლად არის, ვერ ძალავს რული!“

არ მეშინია მართლაც არაფრის,  
რადგან იესო ჩემს გვერდით არის!



ნახატი მ. ხ.



ვ. შ.

# არ ეშინია!

ოთახში შუქი ჩააქრეს, მაგრამ  
ამ ჩვენს ირინეს არ ეშინია.  
არ ეშინია მას ამ სიბნელის,  
რადგან ქრისტე სწამს,  
მძლეველი ბნელის.

# ელენეს პრობლემა



ელენე ტირილით შევიდა მშობლების საძილე ოთახში. ნახევრად მძინარე დედამ ჰკითხა:

— რა მოხდა ელენე? რატომ ტირი?

— მუცელი მტკივა, — ზღუქუნით უპასუხა ელენემ.

— მოდი ჩემთან, ჩამოჯექი საწოლზე, — დაუძახა დედამ თავის გოგონას.

მიიხუტა გულზე და მსუბუქად დაიწყო მისი მუცელის ზელა. ელენეს დედა ხვდებოდა ამ ტკივილის მიზეზს. მეორე დღით უთხრა მეუღლეს:

— ასე აღარ გამოვა. საჭიროა რამე მოვიმოქმედოთ. მას შემდეგ რაც ეს ბიჭი, ალიკა, გამოჩნდა ელენეს კლასში, ჩვენს

გოგონას ეშინია სკოლაში წასვლა. გუშინაც სკოლიდან ატირებული დაბრუნდა, იმიტომ რომ ალიკამ მას სახეში შეაფურთხა. სცემა კიდევ.

დედა ძალიან გაღიზიანებული იყო. მეუღლემ ურჩია:

— ყველაზე კარგი იქნება, თუ იმ ბიჭს დაელოდები სადმე სკოლასთან ახლოს და დაეღაპარაკები. კარგი იქნება თუ მის მშობლებსაც შევატყობინებთ იმის შესახებ, თუ როგორ იქცევა მათი შვილი.

— მართალი ხარ, ეს ყველაზე კარგი იქნება, — დაეთანხმა ქალი ქმარს და გამოემშვიდობა.

ელენეს მამის სამუშაო დღე ძალიან ადრე



იწყებოდა. მას შემდეგ, რაც მამა წავიდა დედამ გააღვიძა ელენე:

— ადექი, უკვე დროა, ჩემო გოგონა!

ელენე ტკბილად გაიზმორა. შემდეგ უცებ გაახსენდა სკოლა და ალიკა.

— არ მინდა ადგომა! აღარ მინდა სკოლაში წასვლა, აღარ მინდა! — განაცხადა მან.

დედა ჩამოჯდა მისი საწოლის პირას.

— სამწუხაროდ მე არ შემიძლია გაგათავისუფლო სკოლისაგან, — რბილი ხმით თქვა მან. — ყველა ბავშვი უნდა დადიოდეს სკოლაში.

— ჰო მაგრამ, ალიკა ცუდად მექცევა,

— შეეპასუხა ელენე.

— ვიცი, რომ მისი გეშინია, — უპასუხა დედამ.



— ამიტომაც ვაპირებ მასთან საუბარს. დედამის-საც დაველაპარაკები... ახლა კი მოდი, ვილოცოთ იმის შესახებ, რომ მუცელი მეტად აღარ გტკიოდეს, კარგი?

ელენემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

გავიდა რამდენიმე დღე. დედა დაელაპარაკა ალიკას და მის მშობლებს. ყოველ საღამოს დედა და ელენე ლოცულობდნენ ელენეს პრობლემის შესახებ. ალიკაზეც ლოცულობდნენ, რომ მას სხვა ბავშვებისთვისაც არ მიეყენებინა ზიანი. და ჰოი საოცრებაც:

ელენეს მუცლის ტკივილი შეწყდა!



ლოცვა: ძვირფასო იესო! გთხოვთ დაეხმარო ბავშვებს, რომლებსაც ეშინიათ სკოლაში წასვლა ზოგიერთების ცუდი საქციელის გამო. დაეხმარე მათ, რომ გადალახონ ეს შიში. გამოუგზავნე მათ სიხარული სწავლაში. ამინ.

ნახატი ტ. კ.

# კველი ნავი

ზღვის ნაპირთან თოლიები გაჰყვიროდნენ, მათ გარდა არავინ არღვევდა სიჩუმეს, ერთ მიყრუებულ ყურეში, სადაც კლდოვან ნაპირთან ზღვის შლამი და ქვები ეყარა. ჩანდა, რომ ადამიანი ამ მხარეს იშვითად ხვდებოდა.

შუადღე იქნებოდა, როცა მეთევზემ გამოიარა. ზურგზე რაღაც ნივთები და გრძელი, გამართული ანკესი გადაეკიდა. შეჩერდა ყურესთან, გახელა ზღვის ნაპირს და იქვე ჩამოიღო მხრიდან თავისი ბარგი. ერთხანს დაფიქრდა: „შესაძლებელი იქნება თევზის დაჭერა ამ ყურეში?“ მოტრიალდა უკან კლდის მხარეს და მისი ყურადღება ძველი ფიცრის ნაჭრებმა მიიპყრო. ახლოს მივიდა, ცოტაზე ქვიშა შემოაცალა და ნელ-ნელა რაღაც ნივთივით გამოიკვეთა. აღმოჩნდა, რომ დიდი ხნის განმავლობაში ზღვას თავისი მიმოქცევით მიეშლამა პატარა ძველი ნავი. მეთევზე გაკვირვებული შეჰყურებდა და ვერ გაეგო, როგორ მოხვდა აქ ნავი. ნახევარი გვერდი დაშლილ-დანიავებული ჰქონდა, დანარჩენი ნაწილები ზღვის მარილისგან შეჭმული და ქარისაგან გამოფიტული იყო. კაცმა ინტერესით კიდევ მოაცალა შლამი და ეცადა თავისუფლად დაეყენებინა ნაპოვნი.

მეთევზე იდგა და შეჰყურებდა პატარა ნავს, ნიჩბები არ ჩანდა. კარგახანს იდგა ჩაფიქრებული. შემდეგ ადგა, აკრიფა თავისი ნივთები და სახლში წავიდა.

მეორე დღეს მეთევზე ისევ გამოჩნდა ყურეში. თან მოოტანა მოკლე-მოკლე ფიცრები და სადურგლო იარაღები. ერთხანს იდგა და ნავს დაჰყურებდა, შემდეგ მყარად დააყენა ნავი, გაზომა მისი დაზიანებული გვერდები და გულდასმით შეუდგა მუშაობას. ჭრიდა, თლიდა, ზომავდა, ძველ ადგილებს აჭრიდა, ფხეკავდა ისედაც უფრო, ზღვის მარილისგან გამოფიტულ ადგილებს. კარგახანს იმუშავა, მერე აკრიფა თავისი იარაღები და სახლში დაბრუნდა.

მეთევზე ყოველ დღით მორიდოდა ძველ ნავთან, დიდი მონდომებით იწყებდა მის შეკეთებას: გადიოდა დღეები და პატარა ნავი თავისთავს დაემსგავსა. კაცი იდგა და იღიმებოდა, სიყვარულით შესცქეროდა და ხშირად ჩაფიქრებული ტოვებდა თავის ნაღვანს.

ერთ დღეს მეთევზე მარტო აღარ მოსულა, მის გვერდით იდგა 10-12 წლის ყმაწვილი. ბიჭმა როგორც კი დაინახა პატარა ნავი, აღტაცებით შესძახა: „რა ლამაზია მამი, სად იპოვე?“ მამამ მთელი სერიოზულობით აუხსნა შვილს ნავის დანიშნულება, მაგრამ ბიჭს მხოლოდ მასში ჩაჯდომა და ზღვაში გაცურვა უნდოდა. მამა შეჰპირდა: „დავასრულოთ მისი შეკეთება და მერეო. . .“

გავიდა კიდევ დღეები და მეთევზემ ცისფრად შეღება ნავი, შვილი ეხმარებოდა. დასრულდა ყველა სამუშაო. ცისფერი ნავი ლამაზად იდგა ზღვის ყურეში ყვითელ შლამზე, მზად იყო ზღვაში გასასვლელ-



ლად. მეთევზემ სახლში დამზადებული ორი ნიჩაბით, ნავი ნელ-ნელა ზღვისკენ მიაჩოჩა, თან თავისი ბიჭის ემოციებს შეჰყურებდა და თვითონაც სიხარული გადაედო შვილის შემყურეს.

აბა, ჩემო ბიჭო, ტაღდა არ არის ძლიერი, მაგრამ ჯობია დროზე ჩავსხდეთ, გამოვცადოთ ჩვენი პატარა ნავი.

ჩასხდნენ მამა-შვილი. ისეთი პატარა იყო ნავი, რომ მესამე ადამიანი ვეღარ დაეტეოდა. მამამ ბიჭს ნიჩბების მოსმა ასწავლა და უთხრა: „შენ ნელ-ნელა მოუსვი, გავცუროთ, მე კი გიამბობ, რატომ შევაკეთე ეს ნავი.“

ბიჭი გამოუცდელად უსვამდა, მაგრამ მამამ აცადა, თვითონ ისწავლოსო, მხოლოდ გეზი მისცა საით უნდა გავცურათ.

შვილო, ჩემო ბიჭო, შენ ბევრი რამ გსმენია იესო ქრისტეზე სახლში და ეკლესიაში. მაგრამ ცუდი არ იქნება, თუ გავიხსენებთ მისი ცხოვრების ზოგიერთ მომენტს, რაც ზღვასთან და ნავთან არის დაკავშირებული.

სად იპოვა და დაუძახა თავის პირველ მოწაფეებს სიმონს და ანდრიას? - გალილეის ზღვასთან: ახლოშივე ნახა იაკობი და იოანე და უთხრა მათ: „მომყევით მე და ადამიანთა მებადურებად გავხდითო.“

იესო ქრისტე ხშირად მგზავრობდა ნავით. ნავიდან უქადაგებდა და ახარებდა ცათა სასუფეველზე ბევრ ხალხს. ერთხელ მოწაფეებს ზღვის ტალღებზე მოსიარულეც ეჩვენა. მოწაფეები მაშინ ვერ ხვებოდნენ იესოს ურთიერთობას ზღვასთან. ისინი თევზს იჭერდნენ, ყიდდნენ და თევზჭერით ირჩინდნენ თავს.

მე როცა ეს პატარა ნავი ვიპოვე ყურეში, მაშინვე მებადურების ნავი გამახსენდა. ეს მოტოვებული ნავი უმოძრაო ქრისტიანობას მაგონებს. ნუთუ ქრისტეს ნავი ასე უნდა იდგეს?! არა, ცხადია არა. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, აღვადგინოთ ნავი და გავაგრძელოთ ქრისტეს დაწყებული საქმე: ვაუწყოთ ხალხს ქრისტეზე ნავიდან!

პატარა ბიჭმა მამას შეხედა და უთხრა: - მამი, მაჩუქე ეს ნავი და მეც გავაკეთებ ამ საქმეს!

მამამ გაიღიმა; ჯერ გაიზარდე შვილო, ბევრი რამ ისწავლე, ზღვა ცხოვრებაა, ნავი კი შენი ადგილი; რომ გაიზარდები უკვე გამოცდილება გიკარნახებს, როგორ მართო ტალღებზე ნავი და რა უთხრა ხალხს, მაგრამ გპირდები: - ნავი შენი იქნება!

მარიამი

ნახატი თაკო მაისურაძე

# ქარიშხლის ჩაწყნარება

რ. ტ.

ალბათ მოგისმენია ამბები უშიშარ მეზღვაურებზე და მათ საოცარ თავგადასავლებზე. იქნებ, ვინმე კიდევ ოცნებობს გახდეს მეზღვაური, როდესაც გაიზრდება. თუმცა საინტერესო თავგადასავლებს ყოველთვის თან ახლავს საფრთხეც, ხომ ასეა? ზღვაზე ეს ქარიშხლები და შტორმებია, რომელთა ალაგმვაც არავის შეუძლია მთელი დედამიწის ზურგზე. თუმცა ახლა შენ გაიგებ ისტორიას იმ სასწაულის შესახებ, რომელიც ერთხელ ადასრულა იესომ ასეთი ქარიშხლის დროს.

მრავალი წლის წინ იესო დადიოდა პალესტინის მიწაზე და ასწავლიდა ადამიანებს ღმერთის სიმაღლესა და სიყვარულზე. მის ახლოს ყოველთვის იკრიბებოდა ხალხი, რომლებიც დიდი ინტერესით უსმენდნენ მის ქადაგებას. იესო არსოდეს არავის ეუბნებოდა უარს დახმარებაზე, ხანდახან მას ჭამისა და დასვენების დროც არ რჩებოდა, იმიტომ რომ ბევრი ადამიანები მოდიოდნენ მასთან შეველისა და დახმარების მისაღებად.

ერთხელაც მან გადაწყვიტა თავის მოწაფეებთან ერთად ნავით გადასულიყო გალილეის ზღვის ერთი ნაპირიდან მეორეზე. მანამდე, იესო მთელი დღის მანძილზე ასწავლიდა ადამიანებს, უყვებოდა მათ ჭკუის სასწავლებელ იგავებს, რის გამოც იმ საღამოს განსაკუთრებით იყო დაღლილი. ნავში მას გამოუჩნდა შესაძლებლობა დაეძინა. მასთან ერთად მეოფი მოწაფეები მსჯელობდნენ განვლილი დღის მოვლენებზე, აწყობდნენ მოძაგლის გემებს. მათი უმეტესობა მეფეზე იყო, ამიტომაც ნავით მოძრაობა მათ სულაც არ ღლიდა, პირიქით, ახალისებდა.

თუმცა, მოულოდნელად ძლიერი ქარი ამოვარდა. მოწაფეები დაფრთხნენ. „უცნაურია, — ფიქრობდნენ ისინი, — არაფერი მოასწავებდა იმას, რომ ამინდი გაფუჭდებოდა.“ ცა შავმა ღრუბლებმა დაფარა. დაიწყო ნამდვილი ქარიშხალი,





რომელიც უფრო და უფრო ძლიერდებოდა და ტალღებსაც აზვირთებდა. ნავში უკვე წყალი დგებოდა, რამაც იესოს მოწაფეები, გამოცდილი მებადურები, ძალიან შეაშინა. ისინი გამალებულები მუშაობდნენ, ნავიდან წყალს ხაპავდნენ, მაგრამ ეს საქმეს აღარ შველოდა. მათი პატარა ნავი, რომელსაც აზვირთებული წყალი ნაფოტით ათამაშებდა, საფარულად მალე ჩაიძირებოდა.

საინტერესოა, შენ რას იგრძნობდი იესოს მოწაფეების ადგილზე რომ ყოფილიყავი? მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ამბავი იყო, იესოს მშვიდად ეძინა. მოწაფეებმა მოთმინება დაკარგეს და შიშით შეჰყვირეს: „მოძღვარო, არ გენაღვლება, რომ ვიღუპებით?“

იესომ გაიღვიძა, მოისმინა მათი საყვედური და . . . წარმოიდგინეთ, მას ხელი არ დაუვლია ვედროსთვის, რათა მასაც წყალი ამოეხაპა შეშინებულ მოწაფეებთან ერთად. მან უბრალოდ აუკრძალა ქარს ექროლა, ზღვას კი უბრძანა: „დადუმდი, ჩაღექ!“

და იმავე წამს — ჰოი სასწაულო! — ქარი ჩაღდა და ზღვის ზედაპირიც მოისარკა! ჩამოვარდა ნამდვილი მყუდროება.

ფიქრობ, რომ მოწაფეებმა მაშინვე არ დაუჯერეს თვალებს. აქამდე ხომ ფიქრობდნენ, რომ ნამდვილად დაიღუპებოდნენ. მათი გული ჯერაც ცახცახებდა შიშისაგან, მაგრამ მაინც ხარობდნენ იმით, რომ ცოცხლები დარჩნენ და უკვე უსაფრთხოდ იყვნენ.

და გაისმა მოძღვრის წყნარი ხმა: „რატომ ხართ ასე მხდალნი? რატომ არა გაქვთ რწმენა?“ მათ არ შეეძლოთ პასუხის გაცემა. შერცხვით იმის გამო, რომ ასე შეშინდნენ. ქარიშხლის დროს მათ მალევე დააეიწყდათ იესოს მოხდენილი სასწაულები, რომლებიც საკუთარი თვალით ჰქონდათ ნანახი. არადა ისინი ხომ მასთან ერთად, ერთ ნავში იყვნენ!

მოწაფეები ჩურჩულით ეკითხებოდნენ ერთმანეთს: „ვინ არის ეს, ქარიცა და ზღვაც რომ ემორჩილება?“ პასუხი ამ კითხვაზე მათ მოგვიანებით მიიღეს.


შენ თუ ვიცი ვინ არის იესო ქრისტე?

### როგორ ფიქრობ?

რამ შეაშინა მოწაფეები?

რატომ შერცხვით მოწაფეებს იესოს სიტყვების შემდეგ?

რა უნდა გააკეთო თუ შიში გიპყრობს?



ამ საოცარი თევზადასავლის წაკითხვა შეგიძლია მარკოზის სახარების მეოთხე თავში, 35-ე მუხლიდან და შემდეგ.

ნახატი ლ. ი.

# შოქნი ცოცხოს უცნაური მამობანი

ელენა მიმინოშვილი

მიუხედავად იმისა, რომ პატარები იყვნენ და ბევრი არაფერი გაეგებოდათ, იმას მაინც ხვდებოდნენ, რომ მათი პატარა ძმა ძალზე უცნაურად გამოიყურებოდა. ის მათნაირი არ იყო, და ამიტომაც არ მოსწონდათ მასთან თამაში, მისი უცნაური სახე აშინებდათ. ამის გამო პატარა გოჭი გარიყული და დაწუნებული იყო არა მარტო თავისი და-ძმებისგან, არამედ ყველა იქ მცხოვრები ცხოველისგანაც.

ღრო გადიოდა, მოხუც ფერმერს უფრო მეტი შრომა უწევდა, გოჭებიც უფრო და უფრო იზრდებოდნენ, უკვე პატარა ღორები გახდნენ და ფერმერიც მალე გაყიდდა მათ. პატარა მახინჯი გოჭიც გაიზარდა. აღარ იყო ისეთი ციცქნა, თუმცა ისევ ისეთი შეუხედავი სახე ჰქონდა და ისევ არავის მოსწონდა, მხოლოდ თავის დედას და ფერმერს უყვარდათ. ხუთი თვის შემდეგ ძალიან გაიზარდნენ და ფერმერმაც გადაწყვიტა, ბაზარში წაეყვანა და გაეყიდა ისინი. სამი მათგანი ძალიან დიდი იყო, ტანით ზრდასრულ ღორს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ, მაგრამ მეოთხე ღორი, შედარებით, მაინც პატარა დარჩენილიყო, იფიქრებდით მხოლოდ სამი თვის იქნებო, თუმცა ასაკით დიდი გახლდათ. მიუხედავად მისი პატარა და მახინჯი შეხედულებისა, ფერმერმა ისიც წაიყვანა ბაზარში. ყველას დიდი ღორები მოსწონდა და ფერმერმაც მალე გაყიდა, თან საუკეთესო ფასად. მეოთხეს საყიდლად კი ფული არავინ გაიძეოდა. ფერმერი მის გაყიდვას დადამებამდე ცდილობდა, თუმცა უშედეგოდ. სახლში დაბრუნებულმა გადაწყვიტა, რომ კიდევ რამდენიმე თვით დატოვებდა და შემდეგ გაყიდდა, მაგრამ არც ამ სამი თვის გასვლის შემდეგ შეცვლილა რაიმე, სულ ოდნავ გაიზარდა და საერთოდ არ ეტყობოდა, რომ ზრდასრული ღორი იყო. ამასობაში შეეჩვია მას და მისი გაყიდვაც გადაიფიქრა. სახელიც კი მოუფიქრა. ერთ მზიან დღეს ჩრდილში ისვენებდა, როცა ეს სახელი მოიფიქრა. „ტოტო, მას ტოტოს დავარქმევ, ვფიქრობ, მოეწონება.“ – ფიქრობდა ფერმერი და როცა მისკენ მიმავალი ტოტო შენიშნა, დაუძახა: – ტოტო, მოდი ჩემთან! ტოტო. „გოჭ-ღორუნას“ ფერმერის დაძახილზე რეაქცია არ ჰქონდა, ეგონა, რომ ფერმერი სხვას ეძახდა. როცა ფერმერთან ახლოს მივიდა, მან კიდევ ერთხელ გაიგონა ეს სახელი, თანაც, როცა პატრონი ამ სახელს წარმოთქვამდა, სულ მას უყურებდა. მაშინ კი მიხვდა, რომ მას ეძახდნენ ამ სახელს. მანაც გაიმეორა ფერმერის ნათქვამი სიტყვა, მოეწონა ეს სახელი და დედასთან გაიქცა, რათა ეხარებინა, რომ ფერმერმა სახელი დაარქვა. მოხუცს კი გაუკვირდა ცხოველის



საქციელი, იფიქრა, არ მოეწონა ჩემი შერჩეული სახელიო, მაგრამ, მისი აზრით, ცხოველებს დიდად არ ესმოდათ ადამიანის ნათქვამი სიტყვები, ამიტომ დიდი ყურადღება არ მიაქცია ტოტოს უცნაურ საქციელს. გახარებული ტოტო კი დედიკოსთან მიიჭრა და უამბო ამბავი, რომელიც სულ რამდენიმე წუთით ადრე მოხდა, თუ როგორ სეირნობდა თავისთვის და შემდეგ ფერმერის ხმა გაიგო. ჯერ ყურადღება არ მიაქცია მას, მაგრამ როცა მასთან მივიდა, მან ის სიტყვა რამდენიმეჯერ უთხრა და თან მას უყურებდა, ამიტომ მიხვდა, რომ მოხუცი იმ სიტყვას მას ეუბნებოდა და ისე ეძახდა, როგორც ბებერ თხას ეძახდა ხოლმე თავის სახელს. გახარებული ტოტო ჭყვიტინებდა და სიხარულისგან ხტოდა, დედას გარშემო უვლიდა და ცელქობდა.

ამის შემდეგ ტოტო სულ უკან დაჰყვებოდა მოხუცს. სადაც ის წავიდოდა, ტოტოც გაჰყვებოდა ხოლმე. რაც ფერმერმა მისი დაძმები გაყიდა, ტოტოს ეგონა, ფერმის ცხოველები შედარებით კარგად მოექცეოდნენ, მაგრამ ძალიან შეცდა, ისინი სულაც არ ცდილობდნენ, შეეცვალათ თავიანთი დამოკიდებულება მის მიმართ. ხშირად მისი თანდასწრებითაც კი საუბრობდნენ მასზე, თუ როგორი მახინჯი და საცოდავი იყო და თუ არ გაიზრდებოდა, ეს უფრო დაამახინჯებდა მას. ფერმაში ქათმებმა წიწილები რომ გამოჩეკეს, ისინიც კი არ თამაშობდნენ ტოტოსთან. „მახინჯ სახიანს“ და „ღორგოჭას“ ეძახდნენ. ყველაზე მეტად გულს ის სტკენდა, რომ ფერმაში დედის გარდა არავის უყვარდა. მიუხედავად იმისა, რომ ფერმერთან დიდ დროს ატარებდა, მაინც მართოსულად გრძნობდა თავს. ისეთ მეგობარს ნატრობდა, ვისთანაც ლაპარაკს შეძლებდა. ერთადერთი შვევა ფერმიდან შორს, მინდორში წასვლა იყო. მოხუცი ფერმერი სამუშაოდ რომ მიდიოდა, ისიც მიჰყვებოდა. თავიდან პატრონი უკან, ფერმაში აბრუნებდა და ნებას არ რთავდა, მასთან ერთად წასულიყო. ფიქრობდა, გაიქცევა და დაკარგავო, მაგრამ მერე შეეცოდა და თან წაიყვანა. ბოლოს კი მიხვდა, რომ არსად გაიქცეოდა, თან მინდორში ბალახს შეჭამდა და უფრო ძაღვად გაიზრდებოდა. ფერმერი თითქმის ყოველდღე დადიოდა მინდორში, ხან მიწას ხნავდა, ხან სხვა საქმეს აკეთებდა. ზარმაცი ცხენი ძალიან ცოტას მუშაობდა და მიწის დამუშავებას ერთს კვირას უნდებოდა. ახალგაზრდა ცხენი იყო და მუშაობაც შეეძლო, მაგრამ არ შრომობდა. შუა მუშაობაში ხმამაღლა ჩაიფრუტუნებდა და ამით პატრონს ანიშნებდა, ვიღლებიო. დადგებოდა და ადგილიდან არ იძვროდა. ბოლოს კი დიდად დაიჭიხვინებდა და ამით ამბობდა, მოვრჩი, ჩემი სამუშაო დამთავრდაო. მოხუცმა იცოდა მისი ეს თვისება და როდესაც ასე ხდებოდა, მუშაობას წყვეტდა და სახლში მიდიოდა.

ერთხელ მეზობელს შესჩივლა, რა ვუშველო ჩემს ზარმაც ცხენს, რომ უფრო მეტი იმუშაოსო? მეზობელმა უთხრა, გაშოლტვა უშველისო, მაგრამ მოხუცი კეთილი იყო და არ უნდოდა ცხოველის ცემა. ერთ დღეს კი უთხრა ცხენს, თუ არ იმუშაავებ, გაგყიდო, მაგრამ ამ სიტყვებმაც კი არ გამოიღო ოტიხოდენა შედეგი, ამიტომ ფერმერი დანებდა.

### ნახატი თაკო მაისურაძე



# ნალა და მურა

ერთ დღეს ნალამ და მურამ ახალი რამ აღმოაჩინეს. როგორც ჩანს სამყარო უფრო დიდი იყო ვიდრე მათ ეგონათ, თავიანთი პატარა სახლიდან. ისინი ტყეში სეირნობდნენ, როცა მოულოდნელად რაღაც ესროლეს, ალბათ საძილე წამალი იყო. ჩვენი ფისო და ძაღლი გაიტაცეს. არ იცოდნენ ეს რატომ მოხდა, მანქანაში სხვა ცხოველებიც იყვნენ. ნალამ გვერდზე მყოფ შავ კატას ჰკითხა:

- ხომ არ იცი სად მივყავართ? რა უნდათ ჩვენგან?
- შავმა კატამ უპასუხა: - ალბათ ჩვენი გაყიდვა უნდათ ან რაიმე მსგავსი.
- მურამ წამოიყვია: - რაიმე უნდა მოვიმოქმედოთ, იქნებ გავიქცეთო.
- შეთანხმდნენ ერთად გაქცეულიყვნენ. უცებ შეამჩნიეს თუთიყუში რომელსაც ნისკარტით გასაღები ეჭირა, შავმა კატამ დაუძახა:
- ჩვენც გაგვიღე გალია, ნუ იქნები უგულო.
- თუთიყუშმა თავიდან იუარა. შემდეგ, დათანხმდა ოღონდ შემდეგ კატები და ძაღლიც უნდა დახმარებოდნენ. გასაღებით მათი გალიები გააღო და გაათავისუფლა. ყველამ მადლობა გადაუხადა.

- ჯერ ადრეა მადლობისთვის, მანქანაც უნდა გავაღოთო - თქვა თუთიყუშმა. მურა კარებს დაეჯახა-ჯგურა, მაგრამ ვერ გახსნა. ნალამ მოიფიქრა, სხვა ცხოველებიც გამოვიყვანოთ და დაგვეხმარებიანო. მართლაც, გაუღეს გალიები ყველას, და ერთად კარების გაღება შეძლეს. მანქანა უკვე ჩერდებოდა, ამიტომ ყველანი ადვილად გადახტნენ და გაიქცნენ. მანქანის მძღოლი გაკვირვებული დარჩა, - სად გაქრა ამდენი ცხოველიო?!

- ნალამ და მურამ მიაღწიეს უსაფრთხო ადგილს და შავ კატას სახელი ჰკითხეს.
- მე ოლი მქვია, უპასუხა მან. - მიმოიხედეს, აღმოჩნდა, რომ შუა ქალაქში იყვნენ. ქუჩაში ყველგან მანქანები იყო. ხალხი ერთმანეთში ირეოდა. სახლისგან დიდი მანძილი აშორებდათ. არ იცოდნენ როგორ დაბრუნებულიყვნენ შინ. ოლიმ უთხრა, მე დაგვეხმარებითო, მან გზები იცოდა. ნალას და მურას გაუხარდათ.

- მადლობა სიკეთისთვის, ჩვენო ახლო მეგობარო.

გაუდგნენ გზას. ოლიმ თავის ნაცნობებს შეუარა. ქუჩის კატები, ძაღლები, მტრედები ერთად იყვნენ შეკრებილნი. აღმოჩნდა ოლის პატრონი არ ჰყავდა. სულ მარტო იყო, შეეცოდათ ნალას და მურას. გადაწყვიტეს დაეპატიჟათ თავიანთ სახლში.



ოლიმ ნაცნობ კატებს გამოკითხა: - თუ იცით მძებო, ნალას და მურას სახლისკენ მიმავალი მოკლე გზა. - ვიცით. მათი დაბისაკენ მატარებელი გადის ახლა, თუ მიუწრებთ კარგი იქნება - უპასუხეს მათ. ამის თქმა იყო, და

გაიქცა სამი მეგობარი მატარებლისკენ. ხალხი გაკვირვებულები უყურებდნენ. მათი ნაცნობი თუთიყუში წამოიწიათ, მოკლე გზებით წაიყვანა ისინი მატარებლისკენ. როგორც იქნა მიაღწიეს მატარებელს. უკვე გადიოდა, ზუსტად მოუსწრეს. გამოემშვიდობნენ თუთიყუშს, შეხტნენ ცარიელ ვაგონში და ფანჯრიდან ხელი დაუქნიეს.

- კიდევ მესტუმრეთო! - მიაძახა კიკიმ.
- აუცილებლად, აუცილებლად! - გაეპასუხნენ მეგობრები რამოდენიმე ხანი მატარებელში ერთობოდნენ და ლაპარაკობდნენ. ბოლოს ნალას და მურას სახლიც გამოჩნდა. მატარებელიც გაჩერდა. ოლი ემშვიდობებოდა, როცა ნალამ უთხრა:
- ჩვენთან დარჩი, აქ ერთად ვიქნებით, ქალაქში კი მარტო ხარ.
- ოლის გაუკვირდა, იუარა. მაგრამ მურამაც გაუმეორა:
- დარჩი, დარჩი, ერთად კარგად ვიცხოვრებთ, თან ჩვენი პატრონი კეთილია, მარის სულ უნდოდა, რომ შავი კატა ჰყოლოდა.
- ოლის გაუხარდა და დათანხმდა, თუმცა ნერვიულად გაჰყვა სახლისკენ. ბოლოს მიაღწიეს სახლს. მარი გამოეგება თავის ცხოველებს. ძალიან გახარებული იყო, ეგონა, რომ სამუდამოდ დაკარგა ისინი. ოლის დანახვაც გაუხარდა, ნალას და მურას მეგობარი გაუჩინიათ, - თან ოლი გქვია; შეგიძლია ჩვენთან დარჩეო.

- და ასე, გააგრძელეს ცხოვრება ახალ მეგობართან ერთად. ახლა უფრო ფრთხილობდნენ, როდესაც სადმე გადიოდნენ სასეირნოდ. ყოველდღე ერთობოდნენ და უხაროდათ.

თაკო მაისურაძე





1. უფალი ჩემი მწყემსია, არაფერი არ მომაკლდება



2. ხასხასა მოღზე დამასვენებს და წყნარ წყლებზე წარმიძვება.



3. სულს დამიწყნარებს, სიმართლის კვალზე დამაყენებს თავისი სახელის გულისათვის.



4. სიკვდილის აჩრდილთა ველზეც რომ ვიარო, ბოროტებისა არ შეემშინდება, რადგან შენა ხარ ჩემთან: მანუგეშებენ შენი კვერთხი და შენი საყრდენი



5. შენ გააწყვე ტაბლა ჩემს წინაშე ჩემს მტერთა თვალწინ, ზეთი სცხე ჩემს თავს; სავსეა ჩემი თასი პირამდე.



6. ასე, სიკეთე და წყალობა მახლავს თან მთელი სიცოცხლე და დაუმკვიდრდები უფლის სახლში დღენი მრავალნი.

# გამოსანები

ნახატი ლ. ბ.




1. მოციქული პავლე სწერდა მას და გამოთქვამდა სურვილს რომ შეხვედროდა მალე.  
ვინ არის ის? თუ იცი? რა თქმა უნდა, ახალგაზრდა



2. ამოდ არ ყოფილა ის ერთგული, და მიუხედავად საშინელი ლომებისა, იგი ლოცვაში ღმერთთან იყო, მისი სახელია



3. ქრისტეზე დიდი ხანია ლაპარაკობდნენ, მაგრამ მოწაფეებმა ვერ იცნეს იგი გზაზე.



4. ღმერთის წინასწარმეტყველი, რომელმაც განკურნა ნაყამანი. მან ცულიც ამოატეუტია წყლიდან და მისი სახელია

ილიჯი, ჩანაქი

ბ ბ ბ ა რ ა ბ ა ე ყ ე ა ბ ბ ნ მ კ  
 ა ზ ტ ი ზ ხ მ ა კ ე ბ ა რ ნ ს ვ ა  
 ნ ბ მ ს ბ რ რ მ ა თ ა უ ხ ე ვ ბ რ  
 ს ჯ ა ი რ მ მ ე ზ რ ქ თ ბ ფ ხ ქ  
 ა ლ ლ ნ ყ ნ რ რ ფ მ რ ლ ზ ი ღ ვ ზ  
 მ ს ი ნ ე ზ რ ი მ ნ ი ჯ მ ნ ბ ბ ა  
 მ უ ლ რ ი ს ფ ი ს ტ ნ ვ ა რ მ ა თ  
 ს მ ა რ რ მ ბ ს ვ ტ მ ი ა ნ მ ტ ი ბ  
 ი ბ ა ი ს ბ ზ თ ი ი ა ტ რ თ ი ფ რ  
 კ ბ ვ მ ი ხ ე ნ ვ ა ლ ი მ ფ მ რ ზ  
 მ ბ ვ ნ ნ მ მ ვ ბ ბ ი ა მ მ ს ა მ ა  
 ს უ ა ი ა ხ ს ი რ უ ა რ მ ჯ ნ მ ვ  
 რ ტ ა ტ ი ნ ვ მ ა ა რ მ ნ ი ა ფ ი  
 კ ნ ნ რ რ ვ მ ბ ბ ვ ფ ს ა მ ვ ყ თ  
 ფ თ ა მ უ ბ ჯ ხ ი ა რ ლ ს ი მ ბ ი  
 ღ ი ს მ კ ლ ღ ყ მ ნ ჯ მ უ რ ზ ს ა  
 ხ ე ლ ჯ მ ნ ი ვ რ რ ტ ს ი ნ ა ი ზ

# იპოვე და შეაღებინა

შეადგინა ი. შ.

იპოვე ცხრილში შემდეგი სიტყვები: *ამერი, სინედრიონი, გალილეა, ელეონი, იერიზონი, რებუკა, ტაბითა, აარონი, სინაი, დავითი, ღაი, ქრისტე. დაალაგე ამ სიტყვების საწყისი ასოები სწორი თანმიმდევრობით და გაიგებ სასიხარულო ამბავს.*

1782–1834

# ჩოქეჩო შოჩოსო

მთელი მისი ცხოვრება თავმდაბლობის ნიშნით იყო აღბეჭდილი, როდესაც ახარებდა და უქადაგებდა ჩინეთის მოსახლეობას.



რობერტ მორისონის პორტრეტი.  
მხატვარი გ. პ. პარკერი

## გზა ჩინეთსკენ

ჩინეთის ქალაქი გუანჯოუ მდებარეობს ქვეყნის სამხრეთით, სადაც ცხელა და ნოტიო ჰაერია, ნამდვილი სუბტროპიკები. ძველებური ქალაქია, ლამაზი. ორასი წლის წინ სამხრეთ ჩინეთის ეს ქალაქი ევროპაში ცნობილი იყო კანტონის სახელით. იქ, უძლიერესმა ოსტინდოეთის კომპანიამ, რომელიც აწარმოებდა ფართო მონოპოლიურ ვაჭრობას აღმოსავლეთთან, დაარსა თავისი პირველი წარმომადგენლობა ჩინეთში.



ოსტინდოეთის კომპანიის წარმომადგენლობა კანტონში.  
მხატვარი უ. დანიელი, 1805 წ.

რამდენიმე ასწლეულის მანძილზე, ეს სავაჭრო სახლი ერთადერთი დამაკავშირებელი რგოლი იყო იდუმალ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ევროპის ქვეყნებს შორის. მოგზაურები, მკვლევარები, სწავლულები — ყველა მათგანი იძულებული იყო მიემართა ჩინოვნიკებისთვის, რომ მოხვედრილიყო ამ შორეული რეგიონის ქვეყნებში.

1802 წელს ჩინეთში წასვლის თხოვნით კომპანიას მიმართა ახალგაზრდა ადამიანი, სახელად რობერტ მორისონმა, მაგრამ უარი მიიღო. თუმცა, 1807 წლის, იანვრის დილას, რობერტი, რომელიც იდგა ჩინეთისაკენ მიმავალი ზომალდის გემბანზე და გასცქეროდა პორიზონტს, ფიქრობდა ამ დიდ ქვეყანაზე, სადაც მაშინ 300 მილიონი, მთელი დედამიწის მოსახლეობის მესამედი ცხოვრობდა! ჩინეთის მთავრობა მტრულად ეკიდებოდა უცხოელებს. მათ მხოლოდ კანტონში შეეძლოთ ცხოვრება. ჩამოსულებს ეკრძალებოდათ ჩინურის სწავლა, ხოლო იმ ჩინელებს, რომლებიც „ზღვისიქითა ბარბაროსებს“ ჩინურ ენას შეასწავლიდნენ, საშინელი სასჯელი ელოდათ. ოსტინდოეთის ხელმძღვანელობამ იცოდა ამის შესახებ და მკაცრად ადევნებდა თვალს თავის მოსამსახურეებს, რომ მათ არ დაერღვიათ ადგილობრივი კანონები.

რობერტს კი სწორედ ჩინური ენის შესწავლა სურდა, რათა ამ დიდი ქვეყნის მცხოვრებლებისთვის მოეთხრო ისო ქრისტიანე. სალაპარაკო ენის საფუძვლები უკვე შეისწავლა სანამ ელოდა გამგზავრების ნებართვას, მაგრამ ეს არ კმაროდა. რობერტს უნდა აეთვისებინა რთული იეროგლიფები, რათა გადაეთარგმნა ბიბლია.

ცურვა შვიდ თვეს გაგრძელდა. ამ დროის მანძილზე მორისონი ბევრს ფიქრობდა, ლოცულობდა, და რწმუნდებოდა იმაში, რომ მთელი მისი ცხოვრება მოლოდინით იყო აღვსილი.



## ბავშვობა და სიყმაწვილე

რობერტი უმცროსი, მერვე შვილი იყო შოტლანდიელი ფერმერის დიდ ოჯახში. როცა მას სამი წელი შეუსრულდა, მშობლები გადავიდნენ ინგლისში და გახსნეს სახარაზო სახელოსნო. მამა შვილებს მკაცრად ზრდიდა. თითოეულ მათგანს თავისი მოვალეობები ჰქონდა სახლშიც და სახელოსნოშიც. კვირაობით ყველა ერთად ესწრებოდა ღვთისმსახურებას, საღამოობით კი ასევე ერთად სწავლობდნენ წმიდა წერილს.

რობერტი მორჩილი შვილი და გულმოდგინე მოწაფე იყო. 15 წლის ასაკში მან მიიღო იესო ქრისტე პირად მხსნელად, რამდენიმე წლის შემდეგ კი აღინთო სურვილით გამხდარიყო მისიონერი. ყმაწვილი რუდუნებით აგროვებდა ჟურნალებს და ამონაჭერებს გაზეთებიდან, რომლებშიც მოთხრობილი იყო შორეულ ქვეყნებზე, წარმართულ რწმენა-წარმოდგენებზე და იმაზე, თუ როგორ მიჰქონდათ ევანგელისტებს კეთილი უწყება ველურ ჯუნგლებში, ჭაობიან ქვეყნებში და ცხელ უდაბნოებში.

მაგრამ, როდესაც დედამ გაიგო შვილის სურვილის შესახებ, სთხოვა მას არ წასულიყო ქვეყნიდან სანამ ცოცხალი იყო. რობერტი შეჰპირდა მას, რომ არსად წავიდოდა. დედა მაშინ გარდაიცვალა, როდესაც ის 20 წლის შესრულდა და დედის გარდაცვალებიდან მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ შესძლო წასულიყო ჩინეთში. ამ წლებმა რობერტს მოთმინება და მორჩილება ასწავლა, რაც ასე ძალიან გამოადგა მას მახარებლის მძიმე შრომაში.

## მთარგმნელობითი მოღვაწეობა

კანტონი უცხოელებს სიფრთხილით შეხვდა. თუმცა რობერტმა მოახერხა და გაეცნო ორ ადგილობრივს, რომლებიც დათანხმდნენ მას ესწავლებინათ ჩინური ენა. ახალი მოწაფე გულმოდგინე და უნარიანი გამოდგა. მალე იქნა შედგენილი ლექსიკონი და რობერტის ქორწინების დღეს მერი მორტონზე 1809 წელს, სავაჭრო კომპანიის ხელმძღვანელობამ მას მთარგმნელის თანამდებობა შესთავაზა, რამაც გაცილებით გაადვილა მისი მისია.

ჩინეთში შვიდი წლის ყოფნის შემდეგ, რობერტმა პირველი მორწმუნე ჩინელი მონათლა. ნათლობა საიდუმლოდ აღსრულდა, რომ ამის შესახებ პოლიციას არ გაეგო. ამ მოვლენიდან, ერთი წლის შემდეგ, 1815 წელს გამოქვეყნდა ახალი აღთქმის მისი თარგმანი. ხელმძღვანელობა განრისხებული იყო და მორისონი დაითხოვეს. თუმცა ეს არ გამოვიდა, ვინაიდან მორისონი შეუცვლელი მთარგმნელი გამოდგა.


რობერტსა და მერის ორი შვილი შეეძინათ. თუმცა 1821 წელს მერი გარდაიცვალა. 1824 წელს, როცა დაამთავრა ბიბლიის თარგმნა, მისიონერმა პირველად შესძლო მშობლიური ქვეყნის მონახულება. ინგლისში ბევრმა იცოდა მისი შრომის შესახებ და სურდათ მოესმინათ ცნობილი მთარგმნელისა და ქრისტიანი მსახურისთვის. მორისონი კითხულობდა ლექციებს, ასწავლიდა ჩინური ენის საფუძვლებს მათ, ვისაც სურდა თავისი ცხოვრება ჩინეთში მსახურებისთვის მიეძღვნა.

ორი წლის შემდეგ, ხელახლა დაქორწინებული რობერტი დაუბრუნდა სამსახურს, რომელიც მისგან კიდევ უფრო მეტ ძალასა და ღროს მოითხოვდა. დღისით ის კანტონში მუშაობდა, საღამოობით კი ფარულად ქადაგებდა. ამ ღროს იქნა მონათლული ლიან ფა, რომელიც პირველი პროტესტანტი მღვდელი გახდა ჩინეთში. რობერტის

მოღვაწეობის შედეგად ქვეყნის ამ რაიონში, მოქცეულთა რიცხვი შვიდ ადამიანს შეადგენდა. თუმცა მისიონერის ძალები ამოიწურა და 1834 წ. იგი გარდაიცვალა. ის, იქვე კანტონში მიაბარეს მიწას.

რობერტ მორისონი ბრიტანული სინოლოგიის — ჩინეთის შემსწავლელი მეცნიერება — ფუძემდებლად ითვლება. მის შემდეგ ბევრი წიგნი დარჩა ჩინური ფილოლოგიისა და ისტორიის შესახებ, თარგმანები, საღვთისმეტყველო სტატიები და ლექციები სამისიონერო მოღვაწეობაზე, ასევე ნაშრომები პედაგოგიკაზე. ჩინურ ენაზე მის მიერ თარგმნილი ბიბლია დღემდე გამოიყენება.

ნადეჟდა ორლოვა



რ. მორისონი თანაშემწეებთან ერთად. გრაფიურა 1839 წ.

# როგორია სწორი კასუსი?

1. ვინ იყო ის, ვისს უფლის ხმის ბაზონებზე შეჰინდა და აღიქადა?

- ა) ადამი
- ბ) კაენი
- გ) იონა



2. ვინ იყო ის ქალიანი, ვისთან მიხლოვებას ქაღინებს უწოდებდნენ, ხაზბან უფლებთან საუბრის შუაშე მისი სხვა ნათობებზე?

- ა) ნოე
- ბ) აბრაამი
- გ) მოსე



3. ჩნ უჩვენა იმ ბაზბეხზე ჯანს, ვისს შუაჩანსყოფდა ისხაჩის ღოაჩითის სანჯის და ხოქადითან საბჰოდვლად ბანვლანს ვახსაჩითი ისხაჩიანი ვიხ ბელადე?

- ა) ყენაკი
- ბ) გოლიათი
- გ) ლამეჭი



4. ვის ეწოდება იმ მონაღვანე თანვისი ლაზაზი სოცის ბაშო?

- ა) იაკობს
- ბ) ისააკს
- გ) ისმაელს



5. ვის, ჰოქდა ჩნ ეანვლად უფლისბან, შუაწინდა ეანვრის ბაქალის სამსხუაჯო ღოისით და ეს ბაქათუ ლაქით?

- ა) სამუელს
- ბ) სამსონს
- გ) გელგონს



6. ხოქადი მიაჩთვანი შეჰინდა, ხოქანს ამოხითნა ვანჯანს სისყვა სიმაჩითანს და ამოვანს სამსაჩხოზა?

- ა) ფელიქსი
- ბ) აგრიპა
- გ) ფესტოსი



7. ვინ თქვა: 'უფალი ჩის ჩაქი სინათლა და სსნა ჩაქი: ვის შევუწინდა?'

- ა) მოსემ
- ბ) იესო ნაუეს ძემ
- გ) ღაუთიმა



8. ვის ეანვანება შეჰინდნენ იანსო სამაჩის მსვლანი ისა, ხო მავხეზს ეაუბანვანენ?

- ა) იესოს მოწაფეების
- ბ) ანგელოზების
- გ) ქალებების



ნახატი ვ. დ.

# შიშის შესახებ

შიში — საკმაოდ არასასიამოვნო მდგომარეობაა. თუმცა, ღმერთმა ჩვენ ისეთები შეგვქმნა, რომ შიშს ვერსად ვერ გავექცევით. ყველას ყოველთვის, რაღაცის ეშინია. თუ ადამიანს საერთოდ არაფრის ეშინია, ეს იმას ნიშნავს, რომ ფსიქიკურად ის მთლად ჯანმრთელი არ არის. საშიშია ქუჩაზე გადარბენა, როდესაც იქ მანქანები დაქრიათ. ეს ნორმალურია. ხის წვერზე აძრომაც საშიშია. და ძალიანაც კარგია, რომ ეს გვაშინებს: ვინაიდან შეიძლება ჩამოვვარდეთ და სასიკვდილოდ დაუშვადეთ ანდა გადავიტყვით ხერხემალი და შემდეგ მთელი სიცოცხლე არა თუ ხეებზე ვერ ავალთ, არამედ სიარულსაც ვერ შევძლებთ, რადგან ინვალიდის ეტლს ვიქნებით მიჯაჭვული.

თუმცა, არსებობს შიში, რომელიც არ უნდა იყოს ჩვენში. თუ ის არის, ჩვენ შეგვიძლია მისგან განვთავისუფლდეთ, რათა არ დავიტანჯოთ. მხედველობაში მაქვს, მაგალითად, შიში შეხვიდე ბნელ ოთახში, იმისი წარმოდგენა, რომ ვიღაც იმალება შენი საწოლის ქვეშ. . . აი ასეთი შიშები არაფერში ვარგა. ხომ ასეა? თუმცა, ისინი ხანდახან ჩნდება და ძალიანაც გვტანჯავს. და მხოლოდ ბავშვებს კი არ აქვთ ასეთი შიშები, არამედ მოზრდილ ადამიანებსაც.

ასე დაემართათ იესო მოწაფეებს, როდესაც ისინი მოხვდნენ ზღვაზე ამოვარდნილ შტორმში. ძალიან შეშინდნენ და ყვიროდნენ კიდევ შიშისგან. და რა გააკეთეს? გააღვიძეს, მშვიდად მიიწინარე იესო და სთხოვეს ჩარეულიყო და გადაერჩინა ისინი.

რა გააკეთა იესომ? მან აუკრძალა ქარს და უბრძანა ზღვას: „დადუმდი, ჩადექ!“ ქარი ჩადგა, ჩამოვარდა სიწყნარე. შემდეგ იესომ შეახსენა მოწაფეებს, რომ შიში მათ რწმენის ნაკლებობის გამო აქვთ. იმის გამო, რომ მათ დაავიწყდათ გვერდზე მყოფი. რა შეიძლება ვისწავლოთ ჩვენ ამ ისტორიიდან, რომელიც ღმერთის ნებით ტყუილუბრალოდ არ ჩაწერილა ბიბლიაში?

პირველი. თუ ჩვენ რაღაც გვაშინებს, რაც არ უნდა გვაშინებდეს, ეს იმას ნიშნავს, რომ დაგვავიწყდა, რომ ჩვენს გვერდით იესო ქრისტეა. ის ყოველთვის მათ გვერდით არის, ვისაც უყვარს და სწამს მისი. თუ გწამს მისი, სრულად ენდობი, ის შენს გვერდითაა. და თუ იესო ის არის, ვისაც შეუძლია ზღვას უთხრას სიტყვა და ის დაემორჩილება, რიდასი უნდა გეშინოდეს?

მეორე. ჩვენ ისევე უნდა მივმართოთ მას, როგორც ეს მოწაფეებმა გააკეთეს: „იესო! შენ ხარ ჩემი დამცველი! დამეხმარე რომ არ მეშინოდეს. რა კარგია, რომ ჩემთან ხარ! მაღლობა შენ! შენთან ერთად მე არაფრის არ მეშინია“

იმისათვის, რომ არ გვეშინოდეს საჭიროა ვისწავლოთ იესოსთან საუბარი. ბიბლიაში დაწერილია: „მუდამ ილოცეთ“ (1თეს. 5:17). თუ ასე

მოვიქცევით, მაღვევ აღმოვაჩენთ, რომ უკვე აღარ გვეშინია საღამოობით, აღარ გვაშინებს სიბნელე და ოთახში მარტო დარჩენა. ჩვენ ვიცით, რომ იესო ყოველთვის ჩვენს

გვერდით არის და არასოდეს ვრჩებით მარტო.

ის ჩვენ გვხედავს, გვისმენს, ვუყვარვართ და გვიცავს.

ს. ს.

# 15. დიდი საეკლესიო განხეთქილება

მე ხანდაზმული ადამიანი ვარ, ბევრი რამ მინახავს, მათ შორის კამათები და დაყოფები. მინახავს, როგორ მომხდარა ოჯახში გაყოფა, როცა შშობლებზე განაწყენებული ვაჟი წასულა სახლიდან ანდა როცა დას დაუწყია ჩივილი თავის ძმაზე, რომელიმე დაუფიქრებლად ნათქვამი სიტყვის გამო ყველა შემთხვევაში, კონფლიქტის შედეგის მიუხედავად, ორივე მხარე გამოსულა წაგებული.

სამწუხაროდ განხეთქილებანი ქრისტიანობაში ძველთაგანვე არსებობდა. ადრეულ ქრისტიანობაში თითოეულ ადგილზე არსებული საკრებულოები თავისებურად იყო მოწყობილი, ღვთისმსახურებაც განსხვავებული ჰქონდათ, თუმცა გრძნობდნენ, რომ მაინც ერთმანეთზე იყვნენ დამოკიდებულნი. ადგილობრივ ეკლესიებზე ლაპარაკობდნენ, როგორც ღებზე ერთ ოჯახში, თითოეულ მათგანს თავისი განსაკუთრებული სახე ჰქონდა, მაგრამ ჰყავდათ ერთი მამა.



პატრიარქი ფოტიუსი. მხატვარი არნოლდ ფე ჰუგე. 1701 წ.



ფისპუტი ზიარების შესახებ მხატვარი რაფაელი 1509 წ.

როდესაც იმპერიის დედაქალაქი აღმოსავლეთში, კონსტანტინეპოლში გადაიტანეს, განსაკუთრებით კი ბარბაროსების შემოსევების შემდეგ დასავლეთ ევროპაში, ხოლო მუსულმანებისა ახლო აღმოსავლეთში და აფრიკაში, ბიზანტიისა და ევროპის ეკლესიები სულ უფრო შორდებოდნენ ერთმანეთს, იზრდებოდა განსხვავებები მათ შორის. V ს. დაშლილი იმპერიის სხვადასხვა ნაწილებში პასექს სხვადასხვა დროს აღნიშნავდნენ, სალაპარაკო ენაც განსხვავებული იყო, და რაც მთავარია საერთო ენას ვერ პოულობდნენ ერთმანეთთან.

აღმოსავლეთის ეკლესიები ემორჩილებოდნენ პატრიარქებს, რომელთა შორის მთავარიც კონსტანტინეპოლში იმყოფებოდა, დასავლეთისა კი — რომის პაპს. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის გაყოფები და განხეთქილებები საკმაოდ ხშირად ხდებოდა, თუმცა ყოველთვის ხერხდებოდა შეიგება. IX ს. კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ფოტიუსმა სერიოზული საღვთისმეტყველო დისკუსია წამოიწყო რომის პაპ ნიკოლოზთან იმ საკითხის შესახებ, თუ ვისგან გამოდიოდა სულიწმიდა — მამისაგან თუ მამისაგან და ძისაგან. ნათელია, რომ ამ საკითხს არ ჰქონდა სერიოზული მნიშვნელობა პრაქტიკულ ცხოვრებაში, და იყო მხოლოდ პოლიტიკური კამათის საბაბი რომსა და კონსტანტინეპოლს შორის ბულგარული ეკლესიების დაქვემდებარებისათვის. ასე იყო თუ ისე, XI ს. მოხდა ისეთი რამ, რამაც სამუდამოდ გათიშა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიები.



პაპი ლევ IX და პატრიარქი მიხაელ კერილარიუსი XV ს. მინიატურა

რომის პაპმა ლევ IX-მ თავისი ელჩები, რომელთაც სათავეში ედგათ კარდინალი ჰუმბერტი, გაგზავნა კონსტანტინეპოლში, რათა მოლაპარაკებულიყვნენ ერთობლივ მოქმედებებზე ნორმანი დამპყრობლების წინააღმდეგ. პაპის წარგზავნილები გულდიად მიიღო იმპერატორმა კონსტანტინე IX-მ, თუმცა მაშინდელი პატრიარქი მიხაელ კერილარიუსი არც კი გამოსულა მათ მისასალმებლად და ძალიან არამეგობრულად ეჭირა თავი. ჰუმბერტი, რომელიც პაპობის მხურვალე მხარდამჭერი იყო, აღშფოთდა და უკიდურეს ზომას მიმართა. 1054 წ. 15 ივლისს, ჰუმბერტი შევიდა კონსტანტინეპოლის მთავარ, წმიდა სოფიას ტაძარში და საკურთხეველზე დადო ბულა, ანუ ბრძანება პატრიარქ კერილარიუსისა და მისი ეპისკოპატის ეკლესიიდან განკვეთის შესახებ. შემდეგ გამოვიდა ტაძრიდან, დაიბერტყა მტვერი ფერხთაგან და თქვა: „ხედავს ღმერთი, და განსჯის ღმერთი.“ ტაძარში მყოფი ხალხი გამტვრდა. . . რომის პაპმა ეკლესიისაგან განკვეთა პატრიარქი! თუმცა არც პატრიარქი დარჩენილა ვალში და ხუთი დღის შემდეგ მანაც განკვეთა ეკლესიიდან ჰუმბერტი.



პაპის ბულა. 1179 წ.

განხეთქილება საუკუნეების მანძილზე მწიფდებოდა, ნამდვილი მიზეზი კი მდგომარეობდა არა თეოლოგიაში არამედ ძმური სიყვარულის დაკარგვაში. რომის პაპიც და კონსტანტინეპოლის პატრიარქიც პრეტენზიას აცხადებდნენ უმაღლეს ძალაუფლებაზე ეკლესიაში, რის გამოც დაიწყო ქრისტეს მთავარი მცნება — „გეიყვარდეთ ერთმანეთი.“ ერთ დროს ერთიანი ეკლესია გაიყო დასავლეთის, რომელსაც ეწოდა კათოლიკური და აღმოსავლეთის, რომელსაც ეწოდა მართლმადიდებლური, ეკლესიებად.

და მაინც მთავარი მიზეზი, რამაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების რიგითი მორწმუნეები შეურიგებელ მტრებად აქცია, იყო არა 1054 წლის განკვეთა, არამედ მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის მოვლენები. ტახტიდან ჩამოგდებული იმპერატორის ძემ, ალექსიმ დაარწმუნა ჯვაროსნები, რომ ჯერ მას დახმარებოდნენ ტახტზე ასვლაში და სამართლიანობის აღდგენაში, შემდეგ კი წასულიყვნენ იერუსალიმში. 1203 წელს დაიწყო ქალაქის შტურმი, და შემდეგ, სამი დღის მანძილზე ძარცვავდნენ მეომრები ქალაქს. ბევრი სიწმიდე და რელიქვია იქნა გატანილი ევროპაში, განსაკუთრებით კი იტალიაში, თავად კონსტანტინეპოლში კი ჯვაროსნებმა ჩამოაყალიბეს ახალი სახელმწიფო — ლათინური რესპუბლიკა — და ძალადობრივად დაადგინეს ღვთისმსახურება დასავლური წესით. აი ასე დასრულდა ეს დიდი განხეთქილება ქრისტიანულ ოჯახში. ამიტომაც არსებობს ახლა კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიები.

ჯვაროსნები შევიან კონსტანტინეპოლში. მხატვარი ფელაკრუა. 1840 წ.



# ჩინ კარ მძღ

ი. ა.

სალამი მეგობარო! დღეს შენ კვლავ უნდა გაცნო შენს ირგვლივ მყოფი გარემო. არა მხოლოდ შენი, არამედ ჩემი ყოფნაც მასში, იმისი მოწმობაა, რომ ღმერთია შემოქმედი და მან შექმნა ყოველივე!

ჩემზე ამბობენ: უშიშარი, ენერგიული და სწრაფიაო, როგორც ელვა. მაგრამ შენ არ დაიჯერებ! რომ აიღო ხელში ორი საკანცელარიო სამაგრი, ამდენი წონა მაქვს, სიდიდე კი სულ 6 სანტიმეტრი.

ბევრს ჰკონია, რომ თუ პატარა ხარ, ესე იგი — ძალიან სუსტი ხარ. წაიკითხე და თავად დარწმუნდები, რომ ასე არ არის. თუმცა მე ყველაზე პატარა ჩიტად მთვლიან პლანეტაზე, მე შემიძლია ფრთები წაშში 80-ჯერ გავაქნიო და პირდაპირი მიმართულებით 50 კმ სიჩქარით ვიფრინო. ჰაერში, ვერტმფრენის მსგავსად შემიძლია უმაღლესი პილოტაჟის ფიგურები გავაკეთო. ვიმოდრაო პირდაპირ და უკან, მაღლა და დაბლა, უმოდრაოდ ჩამოვეკიდო, აფრინდე და დაფრინდე ვერტიკალურად. ეს კი მოუხელთებელს მხდის. წყნარ მდგომარეობაში ჩემი გული წუთში 500-ჯერ ცემს, ხოლო ფრენის დროს ეს ციფრი 1000-მდე იზრდება.

ამგვარი აქტიური ცხოვრების საწარმოებლად მე ძალიან ეფექტური „საწვავი“ მჭირდება, რომელსაც ყვავილების ნექტარის სახით ვიღებ. მას გრძელი და თხელი, ნემსის მსგავსი ნისკარტით მოვიპოვებ. დღის განმავლობაში მე

დაახლოებით 1500 ყვავილის მონახულებას ვასწრებ, და ყოველ 10 წუთში ვიღებ ნექტარს.

ბუდეს ჩვენ ხის ან ბუჩქების რტოებზე ვაშენებთ. ის ჩვენსავით პატარაა და გაკეთებულია ყველაზე ნაზი მასალით — ქსელით, ძაფებითა და ხის ქერქის პატარა ნაჭრებით. ორ პატარა კვერცხზე, რომელიც სულ 2 გრამია, დედალი 2-3 კვირა ხის, შემდეგ დაახლოებით ერთი თვის მანძილზე აკმევს და ათბობს პატარებს. ბარტყების ზრდის დროს „ახალგაზრდა დედა“ იმდენად მამაცია, რომ შეუძლია გველსაც კი დაესხას თავს და თავისი გრძელი და მახვილი ნისკარტი ცხვირში ან თვალში ჩაურჭოს.

ჩვენ ვეკუთვნით იმ ოჯახს, რომელიც 350 სახეობას ითვლის და ცხოვრობს ამერიკაში, ამასთან არა მხოლოდ ტროპიკებში და სუბტროპიკებში, არამედ სხვა კლიმატურ ზონებშიც, ალიასკამდე. თუმცა ჩვენი სახეობა მხოლოდ კუბაზე, კუნძულ ჰვეენტუდსა და ფლორიდის სამხრეთში შეგიძლიათ იხილოთ. ზოგი ადამიანები ჩვენი ოჯახის წარმომადგენლებს „ზურმუხტის ყელს“, „მფრინავ ამეთვისტოს“, ან „ცეცხლოვან ტოპაზს“ უწოდებენ, ვინაიდან ჩვენი მბრწყინავი ბუმბულები მზეზე პრიალებს და ფერებს იცვლის, რაც ჩვენ მართლაც გვამსგავსებს ნამცეცა ძვირფას ქვას. სინამდვილეში მე (*Mellisuga helenae*) (საინფინანს-საფინანსო) მქვია.

ნახატი ნ. ჟ.



# დიდი პანდა

სწავლულები დიდხანს კამათობდნენ, თუ რომელ კლასიფიკაციაში მოეხვედრებინათ დიდი პანდა, ანუ ბამბუკის დათვი (*Ailuropoda melanoleuca*): ჩაეთვალათ იგი დათვად თუ ენოტად? 1936 წელს ცხოველების შედარებითი ანატომიის ამერიკელმა სპეციალისტმა პროფესორმა უილიამ გრეგორმა დიდ პანდას მრავალი ისეთი ანატომიური ნიშანი აღმოუჩინა, რომლებიც დამახასიათებელია ამერიკული ჭრელი ენოტებისთვის.

ო. მ.

საჭირო ხდებოდა დასკვნის გაკეთება, რომ დიდი პანდა — გიგანტური ენოტია. თუმცა გენეტიკური კვლევების შედეგად სწავლულებმა დაამტკიცეს, რომ დიდი პანდა — სინამდვილეში დათვია. დიდი პანდის უახლოეს ნათესავად ითვლება *სათვლიანი დათვი*, რომელიც სამხრეთ ამერიკაში ცხოვრობს. ამრიგად, პანდა — ძუძუმწოვარია დათვისებრთა ოჯახიდან, ბეწვის თავისებური შავ-თეთრი შეფერილობით, რომელიც ენოტების ზოგიერთ ნიშან-თვისებას ფლობს.

დიდი პანდა აღმოჩენილ იქნა შედარებით გვიან — 1869 წელს, ხოლო პირველი პანდა მხოლოდ 1937 წელს დაიჭირეს. ეს იყო ახალგაზრდა ძუ, რომელსაც სულინი დაარქვეს.

მოზრდილი პანდის სიგრძე თითქმის 2 მეტრს აღწევს, ხოლო მისი წონა 150 კგ-ია! დიდი პანდები ცენტრალური ჩინეთის მთიან რაიონებში ბინადრობენ. ბამბუკის დათვების სამფლობელო არცთუ ისე დიდია: ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ სულ 300 კმ-ია. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან პანდა ჩინეთის ეროვნულ სიმბოლოდ იქცა.

წარმოშობით პანდა — მტაცებელი ცხოველია, მაგრამ მხოლოდ მცენარეულ საკვებს ჭამს, ძირითადად ბამბუკის ნორჩ ყლორტებს. მას მოხერხებულად უკავია ბამბუკის წანაზარდები და ღრღნის მას. საინტერესოა როგორ ახერხებს ამას? „მეექვსე თითის“ მეშვეობით — მაჯის დაგრძელებული ძვლით, რომელიც ადამიანის ცერს მოგვაგონებს. „მეექვსე თითი“ წვრილ ბამბუკებსაც კი მჭიდროდ აკრავს თათის დანარჩენ ძვლებს. დღეში მოზრდილი პანდა 30 კგ-მდე მცენარეებს ჭამს!


ბამბუკის დათვი ნელ-ნელა ქრება. პოპულაციის სიდიდე თანდათან მცირდება დაბალი შობადობის გამო, როგორც ველურ ბუნებაში ასევე ტყვეობაშიც. სწავლულები ვარაუდობენ, რომ ველურ ბუნებაში მათი რაოდენობა დაახლოებით 1600 მდეა. დიდი პანდის გამოსახულება ველური ბუნების მსოფლიო ფონდის (WWF) სიმბოლოდ იქცა.

ნახატი ნ. შ.



# ბიბლიური პერსონაჟები

შეაესე უჯრები ბიბლიური პერსონაჟების სახელებით. ეს დაგეხმარება უკეთ შეისწავლო ღმერთის სიტყვა



1. ვინც დაცურავდა თითქმის ერთი წლის განმავლობაში ხომალდით გეგმისა და გარკვეული კურსის გარეშე? (დაბ. 7:1 - 8:19).
2. ვინ დაუდგა თავდებად ბენიამინს, ვგვიპტეში წასვლის წინ? (დაბ. 43:9).
3. ვინ წეოდა სათნო ცხოვრებას და ვინ იქნა ცოცხლად აყვანილი ცაში? (დაბ. 5:24).
4. ვინ სძლია ლომსა და დათვს, ჯერ კიდევ ემაწვილკაცობაში? (მეფ. 17:34-36).
5. წინასწარმეტყველი, ვინც ორმოში ჩააგდეს ლომების შესაჭმელად. (დან. 6:3-23).
6. ვინ ნახა სიზმრად ცად აღმავალი კიბე? (28:12).
7. წინასწარმეტყველი, ვინც იხილა თავისი წინამორბედი ცეცხლის ეტლით ცად აღმავალი (4მეფ. 2:11-12).
8. ვინ იჯდა ლელვის ხეზე, ვისაც დაუძახა იესომ? (ლუკ. 19:5).
9. პირველი ქალის სახელი. (დაბ. 3:20).
10. რა ერქვა ქრისტეს პირველ მოწაფეს? (იოან. 1:40).
11. ვინ იყო ქრისტეს პირველი მოწაფის მმა? (იოან. 1:41).
12. ვინ იყო ყველაზე თავმდაბალი კაცი დედამიწის ზურგზე? (რცხ. 12:3).
13. მოსეს მემკვიდრის მამის სახელი? (რჯლ. 34:9).
14. ვინ იყო დავითის მამა? (მეფ. 17:12).
15. ვინ გაატარა სამი დღე და ღამე თევზის მუცელში? (იონ. 1:17).
16. წინასწარმეტყველი, რომელიც დავითის მეფობის დროს ცხოვრობდა (2მეფ. 12:1).
17. ვინ იყო მოციქულ პავლეს ახალგაზრდა მოწაფე? (საქ. 16:1).
18. რომელ ქალაქში აპირებდნენ მსხვერპლის შეწირვას მოციქულებისათვის? (საქ. 14:8-18).
19. რომელ კაცს ჩაეთვალა თავისი რწმენა სიმართლედ? (რომ. 4:1-3).



# ბიბლიის ვიზუალიზაცია

პორიზონტალურად:


1. საიღუმლო სერობის შემდეგ რა ადგილას ლოცულობდა იესო? (მათ. 26:36-44)
2. მოციქულთაგან ვინ უარყო იესო? (მათ. 26:69-75)
3. ვინ ებრძოდა ღმერთს? (დაბ. 32:24-30)
4. მორკინალი კაცი, რომელზეც გაიმარჯვა დავითმა. (1 მეფ. 17:1-7, 32-51)
5. ღამით იესოსთან მისული ფარისეველი. (იონ. 3:1-2)
6. ვინ მოვიდნენ აღმოსავლეთიდან რათა თავყვანი ეცათ ყრმა იესოსთვის? (მათ. 2:1-11)
7. მოსეს ცოლი. (გამოს. 2:16-21)

ვერტიკალურად:

1. პირველმოწამე რწმენისათვის. (საქმ. 6:2-15 7:55-59)
2. ვის უნდა გაესამართლებინა იესო? (მათ. 27:1-30)
3. პატრიარქი იაკობის საყვარელი ვაჟი. (დაბ. 37:1-3)
4. ვინ გამოეცხადა ზაქარეას ტაძარში მსახურების დროს? (ლუკ. 1:5-20)
5. ვინ ჩააგდეს ლომების ხაროში? (დან. 6:3-27)

შეადგინა ა. ს.

ნახატი კ. პ.






ი. ს. რუსეთი



ი. დ. 8 წლის ვაზახეთი



ლ. ხ. 10 წლის, ჩუვაშეთი



ნ. ჩ. 9 წლის, რუსეთი



ო. კ. 7 წლის, უკრაინა




ლ. რ. 12 წლის, მოლდოვა



დ. კ. ყირგოზეთი



მ. გ. 9 წლის, რუსეთი



მ. ვ. 12 წლის, უკრაინა



ნ. მ. 11 წლის, ჩუვაშეთი

საბავშვო ქრისტიანული ჟურნალი  
გამოდის 1990 წლიდან.

მთავარი რედაქტორი:  
**ვალდემარ ბენსალი**

რედაქციის მისამართი გერმანიაში:  
LICHT-IM-OSTEN, Postfach-1340,  
70809-Kotmal, GERMANY.

ტან: 49 711 839908-23;

ფანსი: 49 711 839908-4.

E-mail: [ezom@lio.org](mailto:ezom@lio.org)

სკოლის დაწყებითი და შუა კლასების  
ბავშვებისათვის

ქართული გამოცემის რედაქტორი:

ლუხუმ მაისურაძე

კომპიუტერული დამუშავება:

დათო მაისურაძე, თაკო მაისურაძე

მისამართი: ქ.თელავი. დადიანის 8

ტელ: 551 22 02 60

ელ ფოსტა: [lukhummaisuradze@yahoo.com](mailto:lukhummaisuradze@yahoo.com)

Facebook page: საბავშვო ჟურნალი „ბილიკი“

დაბეჭდილია სტამბა "საქსანში"

ISSN 1987-72 O X

UDC 0875050 (47922) ბ 676

გვ. 3

კროსვორდი ნამებისხეები:

"კურთხეული სული დამსუყდება და ვინც სხვას ასმევს წყალს თვითონაც დარწყულებული იქნება"

გვ. 23

კროსვორდი:

1. მახე 2. ანანია 3. ცა 4. მხევალი 5. გოლგოთა 6. ცოდვა 7. ნაყოფი 8. სირია 9. იუდა  
ჰორიზონტალურად: მაცხოვარი

გვ. 24

კროსვორდი: 1. მეთუშალახი 2. სედრაქი 3. ელიმენექი 4. სიფორა 5. ანანია 6. რეზაბყამი  
7. სინაგოგა 8. შეთი 9. ნინეფია 10. ბართლომე 11. აბესალომი  
ვერტიკალურად: მემფიბოშეთი



ISSN1987-720X



9 771987 720007